ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 37

"20" თებერვალი 2024 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, დეკაბრისტების გასასვლელი №3-ში (საკადასტრო კოდები: №01.18.04.011.045.02.501 და №01.18.04.011.045.01.503) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას "ქალაქ თბილისში, დეკაბრისტების გასასვლელი №3-ში (საკადასტრო კოდები: №01.18.04.011.045.02.501 და №01.18.04.011.045.01.503) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 14 თებერვლის №24.205.246 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, დეკაბრისტების გასასვლელი №3-ში, მეორე სართულზე არსებული 45.42 კვ.მ. ფართის (საკადასტრო კოდი: №01.18.04.011.045.01.503) და პირველ სართულზე არსებული 11.92 კვ.მ. ფართის (საკადასტრო კოდი: №01.18.04.011.045.02.501) პირდაპირი განკარგვის ფორმით, ერთ ერთეულ უძრავ ქონებაზე სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, მოქალაქე სლავა ყაველაშვილისთვის (პ/ნ. 25001023865) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე